

ჯანმრთელობის, სიცოცხლის და უბედური შემთხვევის კოლექტიური
დაზღვევის ხელეკრულება

Договор о Коллективном Страховании Здоровья, Жизни и Несчастного
Случая #

მზღვეველი: სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“

Страховщик: АО Страховая Компания " Страховая Компания Грузии"

ორგანიზაცია (დამზღვევი): სს „თელასი“

Компания: АО «ТЕЛАСИ»

დაზღვეული: თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები, მოპედის მძღოლები

Застрахованный: сотрудники и члены их семей, водители мопедов

დაზღვევის მოქმედების ვადა: 06.06.2023 – 05.06.2024

Срок действия страхования: 06.06.2023 – 05.06.2024

გაფორმების თარიღი: 06.06.2023

Дата заключения: 06.06.2023

ქ. თბილისი ივნისი 2023 წელი

ერთის მხრივ, სს სადაზღვევო კომპანია საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი (შემდგომში „მზღვეველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის არჩილ მორჩილაძის სახით მეორეს მხრივ სს „თელასი“ (შემდგომში „დამზღვევი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის სერგეი კობცევის სახით საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და კეთილსამედო პარტნიორული ურთიერთობის განვითარების მიზნით, ვთანხმდებით ჩვენს შორის ურთიერთთანამშრომლობის შემდეგ სახელშეკრულებო პირობებსა და მათ სრულად, ჯეროვნად და დათქმულ ვადებში შესრულებაზე:

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

დამზღვევი ადასტურებს, რომ იღებს ვალდებულებას სრულად და სწორად მიაწოდოს „მზღვეველს“ (მათ შორის ელ. ფორმით) ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ხელშეკრულების დადებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ, მათ შორის დაზღვეულ პირთა (როგორც თანამშრომელთა ასევე მათი ოჯახის წევრების და მეორე რიგის ოჯახის წევრების) მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, სქესი, უმაღლესი რგოლის თანამშრომლების შემთხვევაში, რომლებიც დაეზღვევიან პრემიუმში ბარათით - თანამშრომლის თანამდებობა, ოჯახის წევრების შემთხვევაში ნათესაური სტატუსი თანამშრომელთან მიმართებაში, შერჩეული სადაზღვევო ბარათი და მისი ტიპი, მზღვეველისა და ბარათის გაუმჯობესების ან საოჯახო პაკეტის შეძენის შემთხვევაში თანამშრომლის წილად გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის ოდენობა. ამასთან, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ახალმიღებული თანამშრომლის მიერ ოჯახის წევრების დაზღვევისას, ნათესაური კავშირის დამადასტურებელი მოწმობები. მზღვეველს, ასევე, უფლება აქვს ნათესაური კავშირის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა მოსთხოვოს ნებისმიერ თანამშრომელს საჭიროების შემთხვევაში)

შემდეგი ვადების დაცვით: (i) თანამშრომლების შესახებ - დანართი #2 სახით ინფორმაცია (სია) მზღვეველს მიეწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე; (ii) თანამშრომლის ოჯახის წევრის/დამატებითი ოჯახის წევრის შესახებ

Г. Тбилиси

июнь 2023 г.

С одной стороны, АО Страховая компания Страховая Компания Грузии (далее «страховщик»), представленная в лице его генерального директора Арчил Морчиладзе, и АО «Теласи» (далее «Страхователь») в лице Сергея Кобцева, его генерального директора, с другой стороны, с целью развития надежных партнерских отношений в соответствии с законодательством Грузии договорились о следующих условиях сотрудничества и выполнения их в полном объеме, должным образом и оговоренных сроках:

П р е а м б у л а

Страхователь подтверждает, что обязуется в полном объеме и точно предоставить Страховщику информацию, требуемую им (в том числе по электронной почте) о существенных условиях, связанных с настоящим Договором, в том числе данные застрахованных лиц (как сотрудников, так и их членов семьи и членов семьи второго ряда) (имя, фамилия, дата рождения, личный номер, пол, в случае сотрудников высшего ранга, которые будут застрахованы по карте Премиум – должность сотрудника, в случае членов семьи – родственный статус по отношению к сотруднику, выбранная страховая карта и ее тип, в случае приобретения страховщика и улучшения карты или семейного пакета, размер ежемесячной страховой премии, подлежащей уплате со стороны сотрудника в качестве доли. Вместе с тем, при страховании членов семьи новым сотрудником, принятым в течение страхового периода, свидетельства, подтверждающие родственную связь. При необходимости, страховщик также имеет право потребовать представить свидетельства, подтверждающие родственную связь, у любого сотрудника)

соблюдая следующие сроки: (i) Информация о сотрудниках – в виде приложения №2 (список) предоставляется Страховщику как только договор войдет в силу; (ii) Информация о члене семьи/

დანართის #3 სახით ინფორმაცია/სია მზღვევებს მიეწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2 თვის განმავლობაში (ამ პერიოდის განმავლობაში ოჯახის წევრების დამატება განხორციელდება 21.06.2023; 06.07.2023; 21.07.2023; 06.08.2023 რიცხვებში, ცვლილების განხორციელებამდე 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე) ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები ადასტურებენ, რომ (i) მზღვეველი თავისუფალია ვალდებულების შესრულებისგან იმ თანამშრომლის ან/და მისი ოჯახის წევრის/დამატებითი წევრის მიმართ, რომლის შესახებ დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის მიწოდებული არ იქნა ამავე პუნქტის პირობის შესაბამისად მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ ინფორმაცია (სია) (ii) დამზღვევის და თანამშრომლის წილად გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ანგარიშსწორების ვალდებულება ძალაში შედის ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში გაწერილი წესის შესაბამისად, ხოლო მზღვეველის მიერ ამავე პუნქტში მითითებულ ვადებში დამდგარი შემთხვევები წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი: კონკრეტული დაზღვეულის მიმართ შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში სრულად გადახდილია სადაზღვევო პრემია დამზღვევისა და თანამშრომლის მიერ და დაზღვეულის მიერ მზღვეველისთვის წარდგენილია ამ პერიოდში მიღებული მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაზღვეულის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციასთან ერთად.

დამზღვევი ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საოჯახო სადაზღვევო პრემიას, ასევე განსხვავებული სადაზღვევო პაკეტის/პროგრამის არჩევისას, შესაბამის სხვაობას ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით იხდის „დაზღვეული“ - სს „თელასის“ თანამშრომელი. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სადაზღვევო პრემიას ყოველთვიურად “პრემიუმი” და ბაზისური” სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული პირების - მხოლოდ თანამშრომლები (გამონაკლისია უმაღლესი მენეჯმენტის ოჯახის ან/და დამატებითი ოჯახის წევრები, რომლებიც სარგებლობენ პრემიუმი სადაზღვევო პროგრამით და რომელთა სადაზღვევო პრემიას იხდის დამზღვევი)

дополнительном члене семьи сотрудника в виде приложения №3 (список) предоставляется Страховщику в течение 2 месяцев со вступления договора в силу (В течение этого периода страхование членов семьи осуществится в 21.06.2023; 06.07.2023; 21.07.2023; 06.08.2023 числах, на основании информации, предоставленной за 3 (три) рабочего дня до осуществления изменений); во избежание всяких сомнений, стороны подтверждают, что (i) Страховщик свободен от обязательств перед такими сотрудниками или /членами его семьи/ дополнительными членами семьи, о которых Страхователь не предоставил Страховщику информацию (список) для идентификации личности по условиям этого же пункта (ii) обязательство как Страхователя так и его Сотрудников по уплате доли страховой премии, оплачиваемой ими, вступает в силу в соответствии с порядком, описанном в статье 4-й настоящего договора, а при наступлении случаев в период времени, определенный по условию настоящего договора в этом же пункте, они возмещаются страховщиком только в тех случаях, если: полностью оплачена страховая премия соответствующего отчетного периода страхователем и сотрудником, в отношении конкретного Застрахованного, и Застрахованным будут представлены документы Страховщику, подтверждающие оплату услуг, полученных в течении этого периода вместе с идентификационной документацией.

Страхователь подтверждает, что премия семейной страховки, а также соответствующие различия в случае выбора другого пакета/ программы, в объеме и порядке, установленных настоящим Договором, оплачивается сотрудником «страхователя» – АО «Теласи».

Стороны подтверждают, что ежемесячный взнос для лиц, застрахованных в рамках программ Премиум и Базисный, предусмотренных в соответствии с настоящим Договором, оплачивается Страхователем в пользу сотрудников (исключением являются члены семей высшего менеджмента или/ и дополнительные члены семьи, пользующиеся страховой программой)

სასარგებლოდ იხდის დამზღვევი. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის თანამშრომელისთვის შეთავაზებული ბაზისური სადაზღვევო პროგრამისგან (პოლისი) განსხვავებულ პროგრამას (პოლისი) ირჩევს, ასევე მის მიერ საოჯახო სადაზღვევო პროგრამის არჩევისას, ან დამატებითი ოჯახის წევრის დაზღვევის შემთხვევაში, პრემიის სხვაობას თანამშრომლის დავალებით და სახსრებით იხდის დამზღვევი;

1. ტერმინთა განსაზღვრებანი:

ქვემოთ მოცემული ყოველი განსაზღვრება ინარჩუნებს აღნიშნულ მნიშვნელობას ამ დოკუმენტის ნებისმიერ ნაწილში.

1.1. მზღვეველი – სს „სადაზღვევო კომპანია საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“, რომელიც სადაზღვევო საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

1.2. დამზღვევი – სს „თელასი“ პირი, რომელიც საკუთარი სახსრებით იხდის დაზღვეულთა (მხოლოდ თანამშრომელთა და უმაღლესი მენეჯმენტის ოჯახის წევრების) სასარგებლოდ სადაზღვევო პრემიას წინამდებარე ხელშეკრულების პრემიულაში განსაზღვრული წესითა და ოდენობით და ამავდროულად ორგანიზებას უწევს მზღვეველის მიერ სადაზღვევო პრემიის მიღებას და შესაბამისად, დაზღვეულთა (თანამშრომელთა) მიერ სადაზღვევო პრემიის (მათთვის შეთავაზებული ბაზისური სადაზღვევო პროგრამისგან (პოლისი) განსხვავებულ პროგრამის (პოლისი) არჩევისას, ასევე თანამშრომლის მიერ საოჯახო სადაზღვევო პროგრამის არჩევისას, ან დამატებითი ოჯახის წევრის დაზღვევის შემთხვევაში) გადახდას და რომელიც, ამავდროულად, წარმოადგენს დაზღვეულთან (თანამშრომელთან) შრომით ურთიერთობაში, დამსაქმებლის სახით მყოფ პირს;

1.3. მოსარგებლე – დაზღვეული ან ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

1.4. დაზღვეული (ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათის მფლობელი) – დამზღვევის მიერ

Премии, и страховую премию которых оплачивает страхователь). Если сотрудник страхователя выбирает программу (страховой полис), отличающуюся от программы (страхового полиса) Базисный, предлагаемой страхователем, также в случае выбора семейной программы или в случае страхования дополнительного члена семьи, разница в страховом полисе покрывается Страхователем по поручению и на средства сотрудника;

1. Определения терминов:

Все определения, приведенные ниже, действительны для любой части настоящего Договора.

1.1 Страховщик - АО „Страховая компания -" Страховая Компания Грузии“, которая осуществляет страховую деятельность в соответствии с законодательством Грузии.

1.2 Страхователь – АО «Теласи» лицо, которое платит страховую премию, за Застрахованных лиц (только сотрудники и члены семей высшего менеджмента) из собственных средств в порядке и объеме, определенном в преамбуле настоящего Договора, и организует получение страховой премии Страховщиком от Страхователя и, соответственно, уплаты страховой премии страхователем (сотрудником) (В случае выбора страховой программы (полиса), отличающейся от предложенной им программы страхования (полиса) Базисный, также в случаях выбора программы семейного страхования дополнительных членов семьи Страхователем) и который в то же время является лицом, имеющим рабочие отношения с Застрахованными лицами со статусом работодателя;

1.3 Бенефициар - Застрахованный или любое физическое лицо, уполномоченное на получение страхового возмещения в соответствии с грузинским законодательством и настоящим Договором;

წარმოდგენილი წინამდებარე ხელშეკრულების დანართებში და სადაზღვევო მოწმობა/პოლისში მითითებული ფიზიკური პირ(ებ)ი, რომელიც იმყოფება დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში (შემდგომში „თანამშრომლები“) და ასევე თანამშრომელთა ოჯახისა და დამატებითი ოჯახის წევრები, რომელთა სასარგებლოთაც ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა. დაზღვევის გაფორმების მომენტისათვის დაზღვეულის მაქსიმალური ასაკი განისაზღვრება დაზღვევის კონკრეტული პირობით; 1.5. ოჯახის წევრი – ოჯახის წევრად განიხილება მხოლოდ დამზღვევის თანამშრომლის მეუღლე (75 წლამდე) და შვილები (25 წლის ასაკამდე). ამასთან, 18 წლამდე შვილების დაზღვევა განხორციელდება საოჯახო პაკეტის პირობებით, ხოლო 18-დან 25 წლამდე შვილების დაზღვევა განხორციელდება თანამშრომლის მიერ არჩეული სადაზღვევო პროგრამის იდენტური პროგრამის ინდივიდუალური პრემიის გადახდის სანაცვლოდ. 1.6. დამატებითი ოჯახის წევრი დამატებითი ოჯახის წევრად განიხილება მხოლოდ დამზღვევის თანამშრომლის დედა, მამა, და, მამა 65 წლამდე, შვილები 25 წლიდან; 1.7. სამედიცინო დაწესებულება – საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი, ნებისმიერი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება; 1.8. სადაზღვევო შემთხვევა – წინამდებარე ხელშეკრულების დანართის პირობებით განსაზღვრული შემთხვევები, რომელთა დადგომისას გაიცემა შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურება; 1.9. დაზღვევის პერიოდი – პერიოდი, რომლის განმავლობაშიც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევა რჩება ძალაში; 1.10. ანაზღაურების ლიმიტი – წინამდებარე ხელშეკრულების დანართის პირობებით გათვალისწინებული მზღვეველის ფინანსური პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში;	1.4. Застрахованное лицо (владелец индивидуальной карты страхового полиса) - физическое лицо(а), указанное в Приложении к настоящему договору и страховом удостоверении/полисе, представленном Страховщиком, которое находится в трудовых отношениях со Страхователем (далее «Сотрудники»), а также члены семей и дополнительные члены семей сотрудников, в пользу которых осуществляется страховние, предусмотренное настоящим договором. В момент подписания Договора страхования предельный возраст Застрахованного определяется конкретными условиями страхования; 1.5 Член семьи - только супруги (до 75) и дети (до 25 лет) сотрудника страхователя. Вместе с тем, страхование детей в возрасте до 18 лет будет осуществляться на условиях семейного пакета, а страхование детей в возрасте от 18 до 25 лет будет осуществляться за уплату индивидуальной премии в рамках программы, идентичной страховой программе, выбранной сотрудником. 1.6 Дополнительные члены семьи – дополнительным членом семьи считается только мать, отец, сестра, брат в возрасте до 65 лет, дети от 25 лет; 1.7 Медицинское учреждение - любое лицензированное медицинское учреждение, которое функционирует на территории Грузии. 1.8 Страховой случай - случаи, определенные в соответствии с условиями приложений настоящего Договора, в случае возникновения которых выдается соответствующее Страховое возмещение; 1.9 Период страхования - период, в течение которого страхование, в соответствии с настоящим договором, является действительным; 1.10.Лимит возмещения - максимальный лимит финансовой ответственности Страховщика в соответствии с условиями Приложения к настоящему Договору в течение периода страхования;
---	---

1.11. აგრეგირებული ლიმიტი - მომსახურებების ერთობლიობაზე თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ზემოთაც მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურებისაგან; 1.12. ქვე ლიმიტი - თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც ანაზღაურდება კონკრეტულ პერიოდში ან კონკრეტულ ნოზოლოგიაზე / მომსახურებაზე. 1.13. წინამდებარე წესები – წინამდებარე ხელშეკრულებაში და დანართში მოცემული დაზღვევის პირობები; 1.14. ტერიტორიული ლიმიტი – ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა. წინამდებარე ხელშეკრულებით დაზღვევის ტერიტორიად განისაზღვრება მხოლოდ საქართველოს ტერიტორია (გარდა ოკუპირებული რეგიონებისა); სიცოცხლის, უბედური შემთხვევისა და სამოგზაურო დაზღვევით დაფარული ტერიტორია მთელი მსოფლიო; 1.15. “სადაზღვევო მოწმობა/პოლისი” – მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი მოწმობა წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ; 1.16. ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათი – წინამდებარე ხელშეკრულების და დანართების შესაბამისად, მზღვეველის მიერ დაზღვეულებზე გაცემული ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათი. 1.17. თანაგადახდა – სამედიცინო მომსახურების ღირებულების ის ნაწილი, რომელიც სამედიცინო დაზღვევის პირობების თანახმად არ ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას; 1.18. დაფარვის % - სამედიცინო მომსახურების ღირებულების ის ნაწილი, რომელიც სამედიცინო დაზღვევის პირობების თანახმად ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას; 1.19. სადაზღვევო ანაზღაურება – თანხა ან მომსახურება, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დაზღვეულს, მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას; 1.20. სადაზღვევო პრემია – დამზღვევის და თანამშრომლის მიერ გადასახდელი თანხა,	1.11 Агрегированный лимит: максимальный объём суммы, выделенной на общий объём услуг, сверх которого страховщик освобождается от ответственности; 1.12 Подлимит: максимальный размер суммы, подлежащей возмещению в течение определенного периода или при определенной нозологии / услугах. 1.13 Настоящие правила – правила страхования, приведенные в настоящем договоре и приложении; 1.14 Территориальное ограничение – территория, где страхование по настоящему Договору является действительным. По настоящему Договору территорией страхования определяется Грузия (за исключением оккупированных регионов); территория, покрываемая страхованием жизни, несчастных случаев и путешествий – весь мир; 1.15 Страховой сертификат / Полис подписанный документ, выданный страховщиком в соответствии с настоящим Договором; 1.16 Индивидуальная страховая карточка – индивидуальные страховые карты, выданные Страховщиком страхователю в соответствии с настоящим Договором и Приложениями; 1.17 Совместная оплата - часть стоимости медицинских услуг, не подлежащая оплате Страховщиком в соответствии с условиями медицинского страхования; 1.18 % Покрытия - часть стоимости медицинского обслуживания, выплачиваемая Страховщиком в соответствии с условиями медицинского страхования; 1.19 Страховое возмещение - сумма, подлежащая выплате Страховщиком застрахованному, пользователю при наступлении страхового случая;
--	--

რომლის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით და რომელიც წარმოადგენს მზღვევლის მიერ გასაწევი სადაზღვევო მომსახურების საფასურს; 1.21. გარდაცვალება (ლეტალური შედეგი) ადამიანის ტვინის ფუნქციონირების შეუქცევადი შეწყვეტა; 1.22. უბედური შემთხვევა – უცარი, მოულოდნელი, წინასწარ გაუთვალისწინებადი მოვლენა, რომელიც მოხდა დაზღვეულის ნებისგან დამოუკიდებლად, გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგად და გამოიწვია დაზღვეულის სხეულის დაზიანება ან გარდაცვალება. 1.23. გამონაკლისი – ის შემთხვევა, რომელიც დაზღვევის პირობების შესაბამისად არ ითვლება სადაზღვევო შემთხვევად და არ ექვემდებარება ანაზღაურებას; 1.24. უწყვეტი სადაზღვევო პერიოდი – პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვეულს უფლება ჰქონდა ესარგებლა სხვა სადაზღვევო კომპანიის სამედიცინო დაზღვევის პროგრამით (გარდა სახელმწიფო პროგრამით დაზღვევისა) ისე რომ, არ ფიქსირდება წინა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ სადაზღვევო პერიოდებს შორის წყვეტა. 1.25. ალტერნატიული მედიცინა - მკურნალობის ისეთი მეთოდები და მიდგომები, რომლებიც მიიჩნევა მეცნიერულად დაუსაბუთებლად და თანამედროვე მედიცინა არ აღიარებს (არ მიიჩნევს აკადემიურად და კლასიკურად). ალტერნატიული მედიცინის სახეობებია: აკუპუნქტურა, იოგა, მედიტაცია, ნატუროპათია, ტრადიციული მედიცინა (ჩინური, ტიბეტური და სხვა), ქიროპრაქტიკა, ჰერბალიზმი (ბალახეულობით მკურნალობა), ჰიპნოზი, ჰომეოპათია. 1.26. თანდაყოლილი/გენეტიკური დაავადება - თანდაყოლილი დაავადება არის ნაყოფის განვითარების პათოლოგიური მდგომარეობების ჯგუფი, რომელიც ყალიბდება დაბადებამდე ან დაბადებისას მიუხედავად გამომწვევი მიზეზებისა და დაავადების	1.20. Страховая премия - сумма (страховой взнос) оплачиваемая Страхователем/ и Сотрудником, размер и условия оплаты которой определены настоящим Договором и которая является стоимостью за предоставляемые Страховщиком страховые услуги. 1.21. Смерть (летальный исход) - необратимое прекращение функции мозга; 1.22. Несчастный случай - неожиданное, внезапное, непредвиденное событие, которое произошло независимо от воли застрахованного лица, вызванное внешней силой и вызвавшее телесные повреждения или смерть застрахованного лица; 1.23. Исключение - случай, который не рассматривается в качестве страхового случая в соответствии с условиями страхования и не подлежит возмещению; 1.24. Непрерывный период страхования период, в течение которого Застрахованный имел право пользоваться медицинской программой страхования другой страховой компании (за исключением государственной программы страхования) без перерыва между периодах страхования, охватываемых предыдущими и настоящим страховыми контрактами. 1.25. Альтернативная медицина - методы и подходы лечения, которые рассматриваются с научной точки зрения неоправданными и которые современная медицина не признает (не считает академической и классической). Виды альтернативной медицины: акупунктура, йога, медитация, натуропатия, традиционная медицина (китайская, тибетская и т.д.), хиропрактика, траволечение (использование растений в лечебных целях), гипнозы, гомеопатия. 1.26. Врожденные/генетические заболевания - врожденное заболевание представляет собой группу патологических состояний развития плода во время родов или до
---	--

გამოვლენის / გამოვლინების პერიოდისა. გენეტიკური დაავადებები არის გენების მუტაციით ან ქრომოსომების აბერაციით გამოწვეული დაავადება / მდგომარეობა.	рождения независимо от причины и периода проявления. Генетические заболевания являются заболеванием /состоянием, вызванным мутацией генов или хромосомными аберраций.
2. ხელშეკრულების საგანი 2.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშვება მზღვევლს, დამზღვევსა და დაზღვეულებს (მოსარგებლებს) შორის ამ ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად; 2.2. წინამდებარე ხელშეკრულების და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მზღვეველი ვალდებულია, დამზღვევთან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისა და დამზღვევისა და თანამშრომლისგან შესაბამისი სადაზღვევო პრემიის მიღების სანაცვლოდ, უზრუნველყოს დაზღვეულ პირთა სადაზღვევო მომსახურება. 2.3. წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი №1 –ჯანმრთელობის, სიცოცხლის და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობები, დანართი №2 – დაზღვეულთა (თანამშრომელთა) სია, დანართი №3 თანამშრომლის (მისი ოჯახის წევრების სია);	2. Предмет Соглашения 2.1 Настоящий Договор регулирует отношения между Страховщиком, Страхователем и Застрахованным лицом (пользователем) в соответствии с условиями, определенными в настоящем Договоре и его Приложениях; 2.2 В соответствии с условиями, определенными в настоящем Договоре и Приложениях к нему, после заключения настоящего договора со Страхователем и получения соответствующей страховой премии от Страхователя и Сотрудников, Страховщик обязан предоставлять страховые услуги Застрахованным лицам; 2.3 К настоящему Договору прилагаются Приложение N 1 - Условия страхования здоровья, жизни и несчастных случаев, Приложение N 2 - Список Застрахованных лиц (сотрудников), Приложение N 3, - список сотрудников (членов его семьи);
3. ხელშეკრულების მოქმედების და დაზღვევის პერიოდი 3.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების და დაზღვევის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება 2023 წლის 6 ივნისის 00:00 საათიდან და მოქმედებს 2024 წლის 5 ივნისის 24:00 საათამდე; 3.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან;	3. Срок действия Договора и Период Страхования 3.1 Срок действия настоящего Договора и период действия страхования начинается с -00:00 часов 6 июня 2023 года и действует до 24:00 часов 5 июня, 2024 года; 3.2 Настоящий Договор вступает в силу с даты его подписания сторонами;
4. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი და ვადები 4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დამზღვევის და თანამშრომლის მიერ დაზღვეულთა სასარგებლოდ, გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშო თვის ბოლოს არსებული დაზღვეულ პირთა სიის მიხედვით; სადაზღვევო პრემია დამზღვევის	4. Страховая премия, сроки и условия оплаты 4.1 В соответствии с настоящим Договором объем страховой премии, подлежащей уплате Страхователем и сотрудником в пользу Застрахованных лиц определяется

მიერ გადახდილი იქნება მზღვეველის მიერ ინვოისის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, არაუგვიანეს ყოველი თვის 20 რიცხვისა. 4.2. დამზღვევი უზრუნველყოფს თანამშრომელთა მიერ გაუმჯობესებული პროგრამით სარგებლობის სხვაობის (გაუმჯობესებული პაკეტით სარგებლობა, ოჯახის სტანდარტული და არასტანდარტული წევრების დაზღვევის ღირებულება) ღირებულების გადახდას საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვში. დამზღვევი უზრუნველყოფს მზღვეველისათვის ფაქტიურად გადახდილი თანხის რეესტრის მოწოდებას დაზღვეულ თანამშრომელთა სახელფასე ანგარიშიდან თანხის ავტომატურად ჩამოჭრის შესახებ, დამზღვევის შესაბამისი სამსახურის მეშვეობით. ამ მიზნით მზღვეველი ვალდებულია თანამშრომლის წილად გადასახდელ ყოველთვიურ სადაზღვევო პრემიის ოდენობაზე (იგულისხმება გაუჯობესებული პროგრამით სარგებლობის სხვაობა ან/და საოჯახო (დამატებითი ოჯახის წევრის) პროგრამით სარგებლობის ღირებულება) მზღვეველს წარუდგინოს სია (მხარეთა შორის შეთანხმებული ფორმით), რომელშიც მითითებული იქნება საანგარიშგებო პერიოდზე თანამშრომლის წილად გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა და იმ დაზღვეულ(ებ)ის მონაცემები (სახელი, გვარი პირადი ნომერი), რომლის სასარგებლოდაც სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება ეკისრება შესაბამის თანამშრომელს, ამავე პერიოდში წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით დაზღვეულთა სიაში დამზღვევის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე, განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, რაც არ საჭიროებს მხრეთა ორმხრივად დამოწმებას; 4.3. თუ თანხის გადახდის დღე დაემთხვა არასამუშაო ან საქართველოში გამოცხადებულ გამოსასვლელ დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო სამუშაო დღე. 4.4. განსაკუთრებული შეთანხმება: მხარეები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, რომ დამზღვევის ან/და თანამშრომლის მიერ	по списку застрахованных лиц, существующему на конец отчетного месяца; страховая премия будет уплачена страхователем в течение 10 календарных дней с предоставления страховщиком инвойса, не позже 20-го числа каждого месяца. 4.2 Страхователь обеспечивает оплату стоимости разницы (пользование улучшенным пакетом, стоимость страхования стандартных и нестандартных членов семьи) пользования сотрудником улучшенной программой 10-го числа месяца, следующего за отчетным месяцем. Страхователь обеспечивает предоставление страховщику реестра фактически уплаченной суммы об автоматическом снятии суммы с зарплатных счетов застрахованных сотрудников, с помощью соответствующей службы страхователя. С этой целью страховщик обязан предоставить страховщику список на размер подлежащей ежемесячной уплате страховой премии в качестве доли сотрудника (подразумевается разница за пользование улучшенной программой или/и стоимость пользования семейной программой) (в форме, согласованной между сторонами), в котором будут указаны размер страховой премии, выплачиваемой сотрудником в качестве доли в отчетный период, и данные застрахованного(ых) (имя, фамилия, личный номер), в пользу которых обязательство по уплате страховой премии ложится на соответствующего сотрудника на основании письменной информации, предоставленной страхователем в списке застрахованных в этот же период в порядке, предусмотренном настоящим договором, в соответствии с осуществленными изменениями, что не требует двухстороннего заверения сторонами; 4.3 Если день выплаты суммы совпадает с нерабочим или объявленным в Грузии выходным днем, вместо этого дня будет использован следующий рабочий день.
---	---

სადაზღვევო პრემიის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში, თუკი ვადაგადაცილების პერიოდი აღემატება 30 კალენდარულ დღეს: (i) დამზღვევის წილად გადასახდელი პრემიის ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესის გადახდის დარღვევის შემთხვევაში „მზღვეველი“ თავისუფალია დავალიანების პერიოდში დამდგარ ყველა შემთხვევებზე ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან ყველა დაზღვეულის მიმართ, თუნდაც დაზღვევის პირობები, კონკრეტულ შემთხვევაზე, ითვალისწინებდეს სადაზღვევო ანაზღაურებას. (ii) თანამშრომლის წილად გადასახდელი პრემიის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში „მზღვეველი“ თავისუფალია დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევაზე ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან, კონკრეტული თანამშრომლის ან/და მისი ოჯახის (დამატებითი ოჯახის წევრების) მიმართ, თუნდაც დაზღვევის პირობები, კონკრეტულ შემთხვევაზე ითვალისწინებდეს სადაზღვევო ანაზღაურებას. 4.5. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევს დაარიცხოს პირგასამტეხლო დამზღვევის წილად გადასახდელი დავალიანების თანხის 0,06%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდება იმ შემთხვევაში თუკი, დავალიანების ვადა აღემატება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს; 4.6. პირგასამტეხლოს გადახდა დამზღვევს არ ათავისუფლებს ძირითადი დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან/ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს შეწყვეტის თარიღისთვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან. 4.7. განსაკუთრებული პირობა: იმ შემთხვევაში, თუკი თანამშრომლის სახელფასე ანგარიშიდან რაიმე მიზეზით არ ხდება სადაზღვევო პრემიის მის წილად გადასახდელი ოდენობის ანგარიშსწორება	4.4 Особое соглашение: Стороны безоговорочно соглашаются, что в случае нарушения порядка выплаты страховой премии Страхователем и/или Сотрудником если задержка в оплате превышает 30 календарных дней (i) в случае нарушения сроков оплаты на долю Страхователя в порядке, определенном в этом Договоре, Страховщик освобождается от всех обязательств возмещения случаев, наступивших в соответствующем периоде, перед всеми Застрахованными, даже если условия страхования подразумевают страховое возмещение на данный конкретный случай. (ii) в случае нарушения сроков оплаты на долю сотрудника в порядке, определенном в этом Договоре, Страховщик освобождается от обязательств возмещения случаев, наступивших в период задержки оплаты перед конкретными сотрудниками/ или членами (дополнительными членами) его/ее семьи, даже если условия страхования подразумевают страховое возмещение на данный конкретный случай. 4.5 В случае нарушения порядка оплаты, Страховщик имеет право наложить на страхователя неустойку в объеме 0,06% от общего объема просроченного платежа на долю Страхователя за каждый день просрочки. При этом, штраф может быть наложен в случае, если задержка превышает 30 (тридцать) календарных дней. 4.6 Прекращение действия договора не освобождает страхователя от обязательства по уплате основной задолженности/ прерывания действия договора не освобождает сторону от обязательства по уплате страховой премии, заработанной к дате прерывания договора.
---	---

მზღვევლის სასარგებლოდ, (მათ შორის იმ შემთხვევაში, თუკი თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებისას) დამზღვევი ვალდებულია არაუგვიანეს მომდევნო 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობოს (მათ შორის ელ/ფოსტის მეშვეობით) მზღვეველს. 4.8. განსაკუთრებული პირობა: იმ შემთხვევაში, თუკი თანამშრომლის სახელფასე ანგარიშიდან რაიმე მიზეზით (მათ შორის იმ შემთხვევაში, თუკი თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებისას) არ ხდება მის წილად გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ანგარიშსწორება, თანამშრომელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი პრემიის გადახდა მზღვევლის წარმომადგენლობაში ან საბანკო დაწესებულებაში მზღვევლის ანგარიშზე, სადაც სავალდებულო წესით მიეთითება თანამშრომლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან ბარათის ნომერი, სხვა შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს სადაზღვევო მომსახურება გადასახდელი თანხის იდენტიფიცირებამდე. თანამშრომლის მიერ ამავე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია იხელმძღვანელოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.4 პუნქტის შესაბამისად.	4.7 Особое условие: в случае если с з/платного счета Сотрудника по какой-либо причине не выполняется выплата его/ее доли страховых взносов Страховщику (в том числе, если рабочие отношения сотрудника прекращаются) Страхователь обязан информировать Страховщика об этом не позднее следующих 3 (трех) дней (в том числе и по электронной почте). 4.8 Особое условие: в случае если с з/платного счета Сотрудника по какой-либо причине (в том числе, если рабочие отношения сотрудника прекращаются) не происходит расчет по его доле страховой премии, сотрудник обязан обеспечить выплату его/ее доли страховых взносов в представительстве страховщика или в банковском учреждении на расчетный счет Страховщика, с обязательным указанием имени, фамилии сотрудника, номера карты или персонального номера, в противном случае, Страховщик имеет право приостановить услуги страхования до идентификации уплаченных денежных средств. В случае невыполнения обязанностей данного пункта Сотрудником, Страховщик имеет полное право воспользоваться пунктом 4.4 настоящего Договора.
5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებულებები 5.1. „დამზღვევი“/„დაზღვეული“ უფლებამოსილია: 5.1.1 მოსთხოვოს მზღვეველს, სადაზღვევო მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებისა და დაზღვევის პირობების შესაბამისად; 5.1.2 გაეცნოს მზღვევლის მიერ წარმოდგენილ დაზღვევის პირობებს; 5.1.3 მიიღოს დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი – ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათი; 5.1.4 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებითა და დაზღვევის პირობებით დადგენილ ვადებში;	5. Права и обязанности сторон 5.1. Страхователь / Застрахованный имеет право: 5.1.1. Требовать от Страховщика предоставления страховых услуг в соответствии с условиями настоящего Договора и условиями страхования; 5.1.2. Ознакомиться с условиями страхования, представленными страховщиком; 5.1.3. Получить документ, подтверждающий страхование - индивидуальный страховой полис.

5.1.5 მოსთხოვოს მზღვეველს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება. 5.1.6 მიმართოს მზღვეველს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მომსახურების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან მოწოდებისა და პროცესის ადმინისტრირების მიზნით. 5.1.7 5.1 პუნქტის 5.1.3, 5.1.4 და 5.1.6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ დაზღვეულზე.	5.1.4. При наступлении страхового случая получение страхового возмещения в сроки и в соответствии условиям, определенными в настоящем Договоре; 5.1.5. Требовать от Страховщика надлежащего исполнения взятых на себя обязанностей; 5.1.6. Обратиться к страховщику с просьбой о предоставлении документов, запрашиваемых для получения услуг по государственным программам, государственным органам и с целью администрирования процесса. 5.1.7. Права и обязанности, определенные по подпунктам 5.1.3, 5.1.4 и 5.1.6 пункта 5.1 распространяются только на Застрахованных лиц.
5.2. „დამზღვევი“/„დაზღვეული“ ვალდებულია: 5.2.1 სრულად და სწორად მიაწოდოს, მზღვეველს” (მათ შორის ელ. ფორმით) ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ხელშეკრულების დადებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ (ინფორმაცია დასაზღვევი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ დანართი №2 და №3-ში მითითებული ინფორმაცია); 5.2.2 დაზღვევის პირობებით (დანართი №1) დადგენილ ვადაში აცნობოს, მზღვეველს” დაზღვევის პირობებით დაფარული შემთხვევის დადგომის შესახებ და ხელი შეუწყოს, მზღვეველის” უფლებამოსილ პირს აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაციის და დოკუმენტაციის მოძიებაში, მათ შორის ზიანის დადგომასთან დაკავშირებული პირების იდენტიფიკაციაში, მათ მიმართ დავის დაწყებასა და შესაბამის ორგანოში წრმართვაში, წინააღმდეგ შემთხვევაში “მზღვეველი” უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე; 5.2.3 დაზღვევის პირობებით დაფარული შემთხვევის დადგომისას, თუკი დაზღვეული თავად ანაზღაურებს ამ შემთხვევის შედეგად გამოწვეულ ხარჯებს ან მზღვეველის მიერ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში ხარჯების ანაზღაურება დაკავშირებულია დაზღვეულის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენასთან, წინამდებარე ხელშეკრულების 5.3.1. პუნქტით	5.2. Страхователь / Застрахованный обязан: 5.2.1. Полностью и точно предоставить страховщику информацию (в том числе в электронной форме), затребованной последним, об обстоятельствах, имеющих существенное значение для настоящего договора (информация о страхуемых сотрудниках и членах их семей, информация, указанная в приложении №2 и №3); 5.2.2. Сообщить Страховщику о наступлении случаев, покрываемых условиями страхования, в сроки, определенные условиями данного Договора (Приложение N1), и поддерживать уполномоченное лицо Страховщика в получении информации и документации, имеющей отношение к данному случаю, включая определение лиц, связанных с возникновением ущерба, подачи и ведении в соответствующих органах искового заявления против них, в противном случае, Страховщик имеет право отказаться от Страхового возмещения; 5.2.3. Если Застрахованный сам оплачивает все расходы при наступлении случая, покрываемого страховкой, или если возмещение расходов страховщиком в соответствующем медицинском учреждении требует предоставления

განსაზღვრულ ვადაში, წარუდგინოს მზღვეველს ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს „მზღვეველის“ ჯანმრთელობის მდგომარეობას, ჩასატარებელ ან ჩატარებულ მკურნალობას და სამედიცინო ხარჯებს, რაც აუცილებელია აღნიშნული შემთხვევის გარემოებების ან „მზღვეველის“ პასუხისმგებლობის მოცულობის დასადგენად;	информации/ документации/ Застрахованным, предоставить соответствующую информацию/ документы, подтверждающие состояние здоровья Застрахованного, затраты на лечение, которое было или будет проведено, и медицинские расходы в пределах сроков, определенных в пункте 5.3.1 настоящего Договора, необходимую для выявления обстоятельств данного случая или объема ответственности Страховщика;
5.2.4 გადაუხადოს „მზღვეველს“ შესაბამისი სადაზღვევო პრემია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ოდენობით;	5.2.4. Заплатить Страховщику страховую премию в размере и в порядке, установленном в настоящем Договоре;
5.2.5 დაიცვას ოჯახის ექიმისა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი პირის დანიშნულება და რეკომენდაციები;	5.2.5. Следовать рекомендациям и предписаниям семейного врача или лица, предоставляющего медицинские услуги;
5.2.6 განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებითა და დაზღვევის პირობებით დადგენილი ვალდებულებები;	5.2.6. Строго соблюдать условия настоящего контракта и страховые обязательства;
